

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2018 წლის აგვისტო-სექტემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 2018 წლის აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება № 206/04

2018 წლის 18 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №206/04-ით დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა „ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2008 წლის 8 სექტემბრის №5 ბრძანება. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) საფუძველზე და განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესსა და პირობებს, ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების პროცესში.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 18 სექტემბერს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-11/5

2018 წლის 12 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-11/5-ით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დამტკიცდა: 1. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი; 2. „პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი; 3. დამსაქმებლის მიერ პროფესიული დაავადების აღრიცხვის ფორმა.

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და №2 დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, ხოლო ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და №2 დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №194/04

2018 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N194/04 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი. წესის მიზანია ფინანსური სტაბილურობის და საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 1 სექტემბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №194/04

2018 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცა ბრძანებით N 145/04, რომლითაც განისაზღვრა, რომ:

ა) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი მსესხებლისათვის გათვალისწინებული/დაკისრებული 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშება მოხდება მსესხებლის მიერ სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღიდან და არ გაითვალისწინება ამ დღემდე გათვალისწინებული/დაკისრებული ნებისმიერი საკომისიო, ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (მათ შორის, ისეთი ხარჯები, რაც შესულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლო ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქცია;

ბ) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშებისას, სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას წარმოადგენს სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხა და ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ცვლილება არ გაითვალისწინება;

გ) თუ სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრა ხდება სესხის რესტრუქტურისაციის, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ მსესხებელთან) და გადავადებისას, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-5 წინადადების შესაბამისად, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი (სხვაობა სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრის შემდეგ არსებულ სესხის ნარჩენ ძირითად თანხასა და სესხის ვადის გადაცილების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას შორის).

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 1 სექტემბერს, თუმცა სესხის გამცემ სუბიექტებზე გავრცელდება 2019 წლის 1 იანვრიდან.